აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა



საქმიანობის ბიულეტენი

უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტივობები, გადაწყვეტილებები, მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვა ღონისძიებები აისახება საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიების პერიოდში ყოველთვიურად გამოქვეყნდება.

თემატიკა:

სექტემბერი

- საშემოდგომო სესია
- ბიუროს სხდომა
- კომიტეტის სხდომა
- ინიციატივები
- გადაწყვეტილებები
- სხვა აქტივობები

საშემოდგმო სესია გაიხსნა

6 სექტემბერი, 2022

აჭარის უმაღლეს საბჭოში საშემოდგომო სესია ბიუროს სხდომით გაიხსნა. კანონმდებლებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული სამი საკითხი განიხილეს.


1. 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების ანგარიში კომიტეტებში ჩაეშვა განსახილველად, განისაზღვრა წამყვანი კომიტეტი და განხილვის ვადები.



2. განხილვის პროცედურო დაიწყო, საკანონმდებლო ორგანოში შემოსულ მორიგ პეტიციაზე -,,ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეში საბავშვო ბაღის მშენებლობის თაობაზე“ (ავტორი: ალექსანდრე ლორთქიფანიძე), განისაზღვრა წამყვანი კომიტეტი.

3. ბიურომ მხარი დაუჭირა უმაღლესი საბჭოს 2022 წლის ბიუჯტის დეტალურ განწერაში შესატან ცვლილებას, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს შენობის სრულ ადაპტირებას და მასთან დაკავშირებულ პროცესებს უკავშირდება.





ბიურო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2022 წლის 13 სექტემბრის №14 სხდომა

ბიუროს გადაწყვეტილებით:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ, უმაღლესი საარჩევნო კომისიის (უსკო) სამი წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე წარმოდგენილი კანდიდატურების განხილვის პროცედურები დაიწყო. წამყვანი - საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი, განსაზღვრულ ვადაში, შეისწავლის და დაადგენს წარმოდგენილი კანდიდატების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას. კანდიდატები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ კომიტეტის სხდომაზე და მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია, ასევე წარადგინონ სამოქმედო გეგმები.
მთავრობის თავმჯდომარემ, უსკო-ს 3 წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე - ზაალ ზაალიშვილისა და სოფიო კახაძის, დავით ფარტენაძისა და თამარ ქამადაძის, ციალა შავაძისა და სოფიო შაქარიშვილის კანდიდატურები წარმოადგინა.





აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2022 წლის 26სექტემბრის №15 სხდომა

უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით:
1. დამტკიცდა ღია მმართველობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა;
2. განხილვის პროცედურები დაიწყო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით;
3. პლენარულ სხდომას კენჭისყრისთვის გადაეცა აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მიერ, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სამი წევრის ვაკანტურ თანამდებობებზე წარმოდგენილი კანდიდატურები.
4. ცნობად მიიღეს 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების ანგარიში;



რიგგარეშე პლენარულის ხდომა

27 სექტემბერი, 2022



აჭარის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 27 სექტემბრის რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის სამ ვაკანტურ თანამდებობაზე წარმოდგენილი 6 კანდიდატიდან, 5 წლის ვადით, 13-13 ხმით - ზაალ ზაალიშვილი, თამარ ქამადაძე და ციალა შავაძე, ფარული კენჭისყრით, აირჩიეს.









კომიტეტი

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 13 სექტემბრის სხდომა



კომიტეტის სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული ორი საკითხი მოისმინეს:
1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების მიმოხილვა.
მომხსენებელი: ჯაბა ფუტკარაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი
თანამომხსენებელი: ნინო ნიჟარაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი
2. ინფორმაცია ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ
მომხსენებელი: ნინო ნიჟარაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი
თანამომხსენებელი: ედუარდ ნაკაშიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე
წარმოდგენილი ინფორმაციები კომიტეტმა ცნობად მიიღო



განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა და აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტების, 2022 წლის 13 სექტემბრის, გაერთიანებული სხდომა

კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე:
1. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი - ჯაბა ფუტკარაძე კანონმდებლების წინაშე 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების მიმოხილვით წარსდგა.
2. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტმა, სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით სკოლების მზადყოფნისა და საგანმანათლებლო პროცესის განახლების თაობაზე ინფორმაცია აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის - მაია ხაჯიშვილისგან მოისმინეს.
წარმოდგენილი ინფორმაციები კომიტეტებმა ცნობად მიიღეს.

კომიტეტი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 15 სექტემბრის სხდომა

კომიტეტის სხდომაზე ორი საკითხი განიხილეს:
1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების მიმოხილვა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა - ჯაბა ფუტკარაძემ წარმოადგინა
2. პეტიცია – ,,ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეში საბავშვო ბაღის მშენებლობის თაობაზე კანონმდებლებს “(N09-02-13–ლ/471,16.06.2022 წ. პეტიციის ავტორი: ალექსანდრე ლორთქიფანიძე) საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ – მარინე გვიანიძემ გააცნო.





საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 21 სექტემბრის სხდომა

1. განიხილეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სამი წევრის ვაკანტურ თანამდებობებზე ასარჩევად წარმოდგენილი ზაალ ზაალიშვილის, სოფიო კახაძის, დავით ფარტენაძის, თამარ ქამადაძის, ციალა შავაძისა და სოფიო შაქარიშვილის კანდიდატურებისკანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხის (№717/09-02-15; 08.09.2022).
2. დაადგინეს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 82-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კენჭისყრის ადგილი, ბიულეტენის ფორმა და მისი შევსების წესის
3. მოისმინეს ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლების უმაღლესი საბჭოს ფრაქციების მიერ 2022 წლის საგაზაფხულო სესიაზე გამოყენების შესახებ.

საკანონმდებლო ინიციატივა



საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის 2022 წლის 19 სექტემბრის სხდომა

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს მესამე მოსმენით წარუდგინა უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მოიცავს კანონის პროექტებს:

- „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ .

საკანონმდებლო პაკეტის მიზანია: მაჭახლის ხეობის ბიომრავალფეროვნებით, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით გამორჩეული ტერიტორიების დაცვა, აღდგენა და გონივრული გამოყენების ხელშეწყობა.


უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივას, მესამე მოსმენით, პარლამენტის 2022 წლის 20 სექტემბრის პლენარულ სხდომაზე უყრიან კენჭს.





საკანონმდებლო ინიციატივა

85 ხმით, პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო - „მაჭახელას დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონის პროექტები



აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ინიციატივა: „მაჭახელას დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ , პლენარულ სხდომაზე, მისმა ერთ-ერთმა ავტორმა - აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ წარადგინა.

საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტმა 85 ხმით მიიღო.

დავით გაბაიძემ, საქართველოს პარლამენტის წევრებს, წამყვან კომიტეტსა და აპარატის თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის.



აჭარის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივის ავტორები არიან: საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ვლადიმერ მგალობლიშვილი, აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ფრიდონ ფუტკარაძე, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - მარინე გვიანიძე, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)

პეტიცია

"ადაპტური ტექნოლოგიების მხარდამჭერი პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის"


ავტორი - მაია ქათამაძე

რეგისტრაციის თარიღი:

5 სექტემბერი, 2022


გამოქვეყნების თარიღი:

12 სექტემბერი, 2022



პეტიცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ზრდასრულებისთვის, ადაპტური ტექნოლოგიების მხარდამჭერი პროგრამის ან ქვეპროგრამისათვის ფინანსების გამოყოფას ეხება.

- ადაპტური ტექნოლოგიების საშუალებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი/ზრდასრული პირი დამოუკიდებლად ან ნაწილობრივ დამოუკიდებლად განახორციელებს რიგ აქტივობებს, რაშიც მანამდე სჭირდებოდა გარე პირის დახმარება სრულ პროცესში.



"აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუსლიმური საკულტო ნაგებობების კანონით დადგენილი წესით აღრიცხვის, შესწავლის, სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და კანონით დადგენილი წესი"

ავტორი: ნესტან ანანიძე

რეგისტრაციის თარიღი:


16 სექტემბერი, 2022

გამოქვეყნების თარიღი:

20 სექტემბერი, 2022

პეტიციის მიზანია შეიქმნას ისლამური კულტურის ძეგლთა ერთიანი რეესტრი, მომზადდეს მათი გადარჩენის, რეაბილიტაციის-მოვლა პატრონობისა და პოპულარიზაციის სტრატეგიული დოკუმენტი, ასევე მთავრობამ და ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა მიიღონ მათ ხელთ არსებული ყველა ზომა, ძეგლების ნაგებობებში დაუგეგმავი და არაკვალიფიციური ჩარევის (მიშენების, დემონტაჟის, შეცვლის და ა.შ.) აღსაკვეთად.

სამართლებრივი აქტების პროექტები




,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ რეგლამენტის პროექტს (09-01-08/33, 22.09.2021) საბჭო გამარტივებული წესით განიხილავს

პროექტის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2022-2024 წლების სამოქმედოგეგმით გათვალისწინებული მე-4 და მე-5 ვალდებულებების შესრულება ერთი მხრივ თემატური მოკვლევის პრაქტიკის დანერგვისა და ინსტიტუციონალიზაციის გზით, ხოლო მეორე მხრივ საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა საზედამხედველო საქმიანობაში, ონლაინმექანიზმების გამოყენებით.

წამყვან კომიტეტად განისაზღვრა საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი.

რეგლამენტის პროექტის ავტორები არიან
უმაღლესი საბჭოს წევრები:
დავით გაბაიძე
ვლადიმერ მგალობლიშვილი



» ღია მმართველობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა

მე-4 ვალდებულების - თემატური მოკვლევის პრაქტიკის დანერგვა და ინსტიტუციონალიზაცია- მთავარი მიზანია: თემატური მოკვლევის საკანონმდებლო რეგულირება და შესაბამისი პრაქტიკის დანერგვა;
რეგიონის როლის გააქტიურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში და ერთიანი პოლიტიკის შემუშავება საზოგადოების მონაწილეობით.
მე-5 ვალდებულების - საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა საზედამხედველო საქმიანობაში, ონლაინმექანიზმების გამოყენებით - მთავარი მიზანია საზოგადოებისთვის ციფრული მექანიზმების შეთავაზება საზედამხედველო საქმიანობაში მონაწილეობისთვის და საბჭოს აქტიური რეაგირება მათზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიურომ, უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა, მიმდინარე წლის 6 სექტემბერს დაამტკიცა. სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების განხორციელება გაზრდის საკანონმდებლო ორგანოს ანგარიშვალდებულებას, გამჭვირვალობას და ხელმისაწვდომობას საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის.

საერთაშორისო ურთიერთობები

კარპაჩი, პოლონეთი,
6-10,სექტემბერი, 2022

აჭარის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, დავით გაბაიძის ხელმძღვანელობით, პოლონეთში, კარპაჩის 31-ე ეკონომიკურ ფორუმში - "ევროპა ახალი გამოწვევების წინაშე" მონაწილეობდა.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრები:
- მონაწილეობდნენ ეკონომიკურ ფორუმს, რომელიც ყველაზე მასშტაბურია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და 4000-ზე მეტ პოლიტიკურ ლიდერს აერთიანებს;
- შეხვდნენ ქვემო სილეზიის სავოევოდოს მარშალ - ცეზარ ფშიბილსკის, ვიცე-მარშალ - მარჩინ კჟიჟანოვსკის, ვროცლავის მერს - იაცეკ სუტრეკს და სხვა ოფიციალურ პირებს.
- დაესწრნენ რეგიონულ საინვესტიციო გამოფენასა და ეკონომიკურ საკითხებზე გამართულ პლენარულ სხდომებს, ასევე სკლარსკა პორებაში ქვემო სილეზიის სპორტული ცენტრის გახსნის ოფიციალურ ღონისძიებას.

ვიზიტის ფარგლებში,ქედის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ბარდოს კომუნას შორის, პარტნიორული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა.



დავით გაბაიძე:

„ფორუმი, რომელიც ყოველი წლის სექტემბრის დასაწყისში იმართება, ყველაზე მასშტაბურია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და 4000-ზე მეტ პოლიტიკურ ლიდერს აერთიანებს. ამჯერად, პოლიტიკის, ეკონომიკის, ადგილობრივი ხელისუფლების, კულტურისა და მეცნიერების ცნობილი წარმომადგენლები, ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და მათ მეზობლებს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისათვის ხელსაყრელი კლიმატის შექმნაზე სამი დღის განმავლობაში მსჯელობდნენ. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესებში ჩვენი რეგიონი ღირსეულად იყო წარმოდგენილი და უშუალოდ მონაწილეობდა ეკონომიკური საკითხების განხილვაში“.

კარპაჩის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში მიმდინარე მრავალრიცხოვანი ღონისძიებები შუქდებოდა მთელს ევროპაში.





საერთაშორისო ურთიერთობები

ტრაპიზონი, თურქეთი
23-24 სექტემბერი, 2022

თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში „ბათუმის დღეები“ გაიმართა.

პროგრამით გათვალისწინებულ მრავალრიცხოვან ღონისძიებებს აჭარის ოფიციალური დელეგაცია ესწრებოდა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე, ქალაქ ბათუმის მერი - არჩილ ჩიქოვანი, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრები:
- შეხვდნენ ტრაპიზონის გუბერნატორს და მერს - ისმაილ უსტაოღლუს და მურათ ზორლუოღლუს
- დაესწრნენ ბიზნესფორუმის გახსნის ღონისძიებას და გამოფენას, რომელზეც აჭარული კუთხე და ქართული პროდუქცია იყო წარმოდგენილი
- ეწვივნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს
- განახლდა ბათუმსა და ტრაპიზონს შორის წლების წინ გაფორმებული მემორანდუმი
- გაიმართა საფოსტო მარკის პრეზენტაცია
- შედგა ამხანაგური მატჩი ,,ბათუმის დინამოსა“ და „ტრაბზონსპორის“ 19 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის.
- პროგრამა კონცერტით დასრულდა.



დავით გაბაიძე:

- "ქართული დიასპორა არის ერთგვარი ხიდი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველო-თურქეთს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობების გაღრმავებაში";

- "საქართველო არის იმ მცირე ქვეყნების რიცხვში, რომელთაც კონსტიტუციებში აქვთ ჩანაწერი უცხოეთში მცხოვრებ მოქალაქეებთან დაკავშირებით. სწორედ ამ ჩანაწერის საფუძველზე შეძლო ქართულმა სახელმწიფომ არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელება უცხოეთში მოქმედი დიასპორებისთვის".
- ქართული სახელმწიფო გააგრძელებს უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მხარდაჭერას".







სექტემბრის თვის სხვა აქტივობები:

- სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრ „სკენარის“ გახსნა
- ბათუმში ხელოვნური კუნძულის პროექტის განხორციელება დაიწყო
- ქობულეთის მუნიციპალიტეტში „ხინოწმინდობა“ გაიმართა
- ბათუმმა აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების პარლამენტების აპარატის თანამშრომლების შემოდგომის აკადემიას უმასპინძლა
- აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის პრეზენტაცია
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტური ტექნოლოგიების მხარდამჭერი პროგრამის თემაზე კონფერენცია გაიმართა
- სამედიცინო ტურიზმის, ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის მე-3 საერთაშორისო გამოფენა - „Expo Med Batumi - 2022“
- სოფელ ვაშლოვანში, თანამედროვე საგანმანათლებლო კომპლექსის მშენებლობა დაიწყო
- „საგანგებო სიტუაციების დროს ჯანდაცვის გამოწვევების მიმართ სამხრეთ კავკასიის ადგილობრივი თემების მდგომარეობების გაძლიერება“ - პროექტის პრეზენტაცია
- ბათუმში საერთაშორისო კონფერენცია - „Geoanesthesia-2022“ ჩატარდა
- ვაშლოვანი-შურმულის საავტომობილო გზის 2,8-კილომეტრიან მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს
- 27 სექტემბერს, ბათუმში აფხაზეთში დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს.
- უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატები, სოფლად მოსახლეობასთან შეხვედრის ფარგლებში, აგრძელებენ მოქალაქეებთან შეხვედრებს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

სექტემბერი, 2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

